

საქართველო კულტურის
მუზეუმის მიერ გამოცემის
განხილვის დრო
გამოცემის დრო
გამოცემის დრო
გამოცემის დრო
გამოცემის დრო
გამოცემის დრო



„.... რომელმან იხილოს შრომანი ჩუენნი, არა საგმო-
 ბელ გვყოს, არამედ მაღრიელ იქმნეს და მისცეს ლოცვა
 მიზდისა მოქმედსა. დაღათუ არა იქმნას ესე, ჩუენ სურვი-
 ელ ვართ აღსრულებად წმიდისა დამასკელის თქმულისა
 და პლინი სტიოკის სიტყვისა, რათა არა განვლოთ ჟამი
 უქმობით, რომელ არა მოვიღოთ ნაყოფნი სარგონი მის
 მიერნი. და თქუენდაცა წინამდებარედ გვიქმნიეს, უკეთუ
 ვის გთხდესთ, მიიღოთ, უკეთუ არა, არა არს ძალი, არა-
 მედ უმჯობესისა ჩუენება, და რომელმანცა აღირჩიოს
 რაიმე, იგი ყოს მაღლითა და კაცომოყუარებითა ღვთი-
 სათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა. ამინ“


უიზუნი ვაზუმბა:


საქართველოს რესპუბლიკის მთხოვანებათა აკადემიის
ვაზაშვილი გამრატიონის სახელობის
გეოგრაფიისა და გეოეკოლოგიის ინსტიტუტი



საქართველოს დროშები და გერბები ვაკეუმზი ბაზრატიონის მიხედვით

გამოცემლის „სამთხუარე“
0904060 — 1991







© გამოშტკემლობა „სამუშაოები“, 1991

12030201000 - 02

3 _____ 36d. 1991

M 606(02) — 91

ტიტანის გამოცემა

ვახუშტი ბაგრატიონის ფრიად საპატიო ადგილი უკავია საქართველოს უპირველეს შეილთა პანთეონში. ისტორიულ ჟურნალთობათა გამო მეცნიერებათან, უგანათლებულეს ვახტანგ VI-სთან 1724 წლის მოსკოვს გარდახვეწილ მრავალმხრივ მოღვაწეს ბედმა ქართული ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების ფუძის ჩაყრია არ უნა. მოსკოვში, პეტერბურგში, სადაც იგი აღსრულებამდე ცხოვრიობდა და მოღვაწეობდა, ვახუშტიმ 1745 წლის 20 ოქტომბერს დაასრულა უხარმაზარი თხზულება „საქართველოს ცხოვრება“, რომელიც დიდი ივანე ჯავახიშვილის თქმით „...არის ქართველთა მრავალსაუკუნოები წარსულის საზოგადო ფილოსოფიულ-ისტორიული მიმოხილვა, რომლის მნიშვნელობა არც წინათ დაწერილა და არც შემდგეში“.

აკადემიკოსი მარი ბროსკა, რომელმაც 150 წლის წინ გამოსცა სანქტ-პეტერბურგში ქართულად და ურანგულად ვახუშტის „აღწერა საქართველოისა“ ანუ „საქართველოს გეოგრაფია“, წერდა: „ვახუშტის გეოგრაფიის ისეთივე მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, ვითარც პომერიას ტოპოგრაფიულ შენიშვნებს საბერძნებოთავის“.

ვახუშტი ბატონიშვილმა დაგვიტოვა აგრეთვე უნიკალური ატლასები, საქართველოსა და კავკასიის რუკათა სერიები, რომლებსაც გამოსაცემად ამზადებს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

კიდევ რამდენიმე წელი და სრულიად საქართველო იზეიმებს ვახუშტის დაბადების 300 და თხზულებისა და ატლასების შექმნის 250 წლისთვის. საიუბილე გამოცემების მომზადებასთან ერთად გადაწყვიტეთ ვახუშტის კარტოგრაფიული მემკვიდრეობის ზოგი ნაწილის ცალკე გამოცემა. მათ რიცხვშია ეს ბროშურაც, რომელიც ასახავს ვახუშტისეულ ერთ-ერთ რუკაზე ავტორის ხელით გამოხატულ საქართველოს გეობებსა და დროშებს. თითოეულ მათგანს დავურთეთ შესაბამისი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერაც „საქართველოს ცხოვრებიდან“, რასაკვირველია უაღრესად შემცირებული ნაწყვეტების სახით. ბროშურას არ ახლავს კომენტარები, რაც ღრმა მეცნიერულ გამოკვლევას მოითხოვს. ესაა ვახუშტის კარტოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ერთ-ერთი ცდა წვენს ეპოქაში, უდი მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ერთ-ერთი ცდა წვენს ეპოქაში, თავისებური საჯილდათ ლოდი. იმედს არ ვგარგავთ, რომ ქართველი მეით-ხველი დიდი ინტერესით შეხვდება ვახუშტი ბაგრატიონის დიდი და მრავალმხრივი მემკვიდრეობის ამ ერთ პატარა ნაწილს.

ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა: პირველად – საქართველო, მეორედ – ივერია, მესამეთ – გიორგია. ხოლო საქართველო ორს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხვდა ქვეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თვისითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილ-ხდომილთა მისთა ეწოდა საქართველო. გინა შემდგომად მისსა, რომელ უცუცილნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი საფლავსა მისსა, ეწოდათ საქართველო, ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა. რამეთუ „იი“ არს შორისყრილი, რომელი არს სასიხარულო ხმა ზახილისა; ხოლო „ვერიე“ – მოვერივე, არამედ წყობისათვის შეთხხულად ივერია. რამეთუ ოდეს მეფებან ადერკიმ მოკლა არშაკ, მეფე ქართლისა, გოლიათობითა თვისითა, მაშინ აღუტვა ხმა სპათა მიმართ თვისთა: „იი, ვერიე“, და განხდა ხმა ესე, და იტყოდიან ყოველნი; სიმბნისა მისისათვის, ამის გამო იწოდა ივერია. არამედ წოდება სასიხარულოს ხმისა მოასწავებდა სიხარულსა დიდსა. რამეთუ პირველსა მეფობასა ადერკისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და მოასწავებდა ხმა სახარებისა ხარებასა და სიხარულსა სასუფლელისასა, ხოლო „ვერიე“ მორევნასა კერპთა ზედა, ძალთა ჯვრისასა და ხსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა. კვალად გიორგიიაცა შხნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა (რამეთუ „გიორგი“ მუშაკბდითარგმნის). კვალად. ვინათვან იცნეს სამება ერთარსება ჰეშმარიტი დმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამისა გიორგისა; ამისთვის, მიერ ყმითგან, ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარმოწამის გიორგიისანი ყოველსა ივერიასა შინა. რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი უკლესიანი წმიდისა გიორგიისანი. და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ უკროპელნი და ბერძენნი უხმობენ ჯორჯიანსა და რუსნი გრუსნა, და მომბადიანნი გურჯსა, მათითა ორფოლრაციის გამო, არამედ იგივე გიორგიავე არს.


ხოლო არს სიგრძე ქვეყანისა ამის 80 ეჯი, ხოლო განი სპერის ზღვისაკენ 60 ეჯი, შუა ადგილი 32 ეჯი, ხოლო ბოლოთ-კერძი 35 ეჯი, და მდებარებს კასპიისა და პონტოს ზღვას შორის. გარნა არს ქვეყანა შენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა, ღუთისა მიერ და არა ხელოვნებითა კაცითა...

ԵՐԻՒԱՆՈՂՋՄԱՆ:



ხოლო არს მთანი და ტყენი აურაცხელითა კვავილითა, შწვანითა და სურნელითა აღსავსე, ტყენი სხვადასხვა ხითა შვენიერით გადასახლათა და მთათა შინა; კვალდა არიან მთანი დიდროვანნი. რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი, შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლის სიზრქე ყინულისა არის 20, 30 მხარი; და ფამსა ზაფხულისას განსქდების და, თუ მთაუტყო კაცი, მცირეს ფამს ვერ ძალუცს დათმენად სიცივისა... ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი, იმიერ და ამიერ, მრავალნი; შორის მთისა ამის სცხოვრებენ კაცნი. სხვა არს მთა სამხრით, რომელი იწყების შავის ზღვითვე და განვლის ახრუმს, ბასიანს და მოვალს ბარდა-არაზამდე, და არა ეგრე მყინვარე და მაღალი, არამედ თოვლის მარადის აუღებლად, განა ადგილ-ადგილს; და ეგრეთვე მდინარენი დიან იმიერ და ამიერ. კვალად არიან საშორის მათხა მთანი დიდროვანნი და მცირენი, და კლდენი საშინელნი და შვენიერებით აღმატებულნი...

ხოლო კაცნი ამის ქვეყანისა არიან სარწმუნოებით ქრისტეანენი... ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრ-ყირმისნი, იშვიათ შავ-გრემან და მოყვითან, იშვიათ თვალ-ჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა კურთა ზედა მოკვეცილნი. წერწეტნი, უმეტეს ქალნი. იშვიათ სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მიმთხენნი, ცხენსა ზედა და შეცდობათა შინა კადნიერნი, მკვირცხელნი, მსწრაფლნი, რამეთუ ვიეთნი 33 ეჯს თოთხმეტს ფამს გაირბენს. სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლადნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა. სტუმართა და უცხოთ მოყვარენი, მხიარულნი: უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არა რაი შეიჭირვიან, უხვნი, არცა თვისსა არცა სახელისასა კრძალვენ. საუნჯეთა არა მშესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი, — არამედ არს ფამი რაოდენიმე არღარა ისახელების ცოდნა თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გაღობა-სიმღებისა და სამხედროსაგან კიდე, და პონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტ-ზედა ადრე მიმდრევნი... დიდების მოყვარენი...




ხოლო გუარნი მეფეთანი იყვნენ: პირველი ქართლოსიანნი, და ნებროთიანნი, არშაკუნიანნი, და მეფობდნენ ესენი 566 წელთა, და მეფენი ისხდნენ 28. შემდგომად ამათთა იყო გუარი ხოსროვანთა, და მეფობდნენ ესენი 454 წელთა, და მეფენი ისხდნენ 17 და მთავარნი 3. შემდგომად ამათთა ბაგრატიონნი, რომელი გამეფდნენ ქრისტესსა 575 წელსა და არიან აწამდე. არამედ სიტყუ იყო ივერიასა შინა მეფეთა ამათვის, რამეთუ იცნობის ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანნი გმირობითა, ხოლო ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნებითა, შემმართვებულობითა, ხოლო ბაგრატიონნი მხეობითა, სიბრძნე-ქუელობითა და ქუეყნისათვის თავდადებულობითა...

ესვე ეპისკოპოზი აკურთხევდა მეფესა და დაადგმიდა გვირგვინსა, ხოლო დადგინებისა — კათაღიკოზისა — კათაღიკოზი. ემსა ბაგრატიონთასა ვინაითვან ლიხთ-იმერთა იყო დადგმა გვირგვინისა: ქართლისა და აფხაზთა კათაღიკოზნი აკურთხევდენ, არამედ გვირგვინსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთათისის ტახტისათვის. ხოლო შემდგომად განყოფისა იმერთს — კათაღიკოზი იმერთა, ქართლს — კათაღიკოზი ქართლისა და კახეთს — ბოდელი.

ხოლო მეფენი ამათ ყოველთა ზედა იწერებოდნენ ესრეთ: „ჩვენი ბრძანება არს, მესტუმრეო თუ მანდატურო, ესრეთ უამბე“, და შემდგომად რაი ჯერ იყო. ხოლო სიგელსა და გუჯარსა შინა: „ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ლვთით წყალობით ცხებულმან, თვითმპყრობელმან და თვითხელმწიფემან, იქსიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან, შვილთავე სამეფოთა მპყრობელმან (სახელი) გიწყალობეთ“. ხოლო აწინდელთა ფამთა: „მესტუმრეო, ჩუენ მაგიერად ჩუენს დიდს იმედს დარბას-ბატონს (სახელი) ასრე უანბეთ“. და მდაბალთა ზედა: „ჩვენი ბრძანება არს“, ხოლო გუჯართა და სიგელთა: „ჩუენ, მეფემან ლვთივცხებით გვირგვინოსანმან, იქსიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან (სახელი) გიწყალობეთ“! ესრეთვე იმერნი და კახნი, არამედ მეფე ქართლისა კუალდცა მეფეთ-მეფობით სწერდა წინავეთავე ჩუეულებითა.








ხოლო ქუეყნისა ამის სახელი არს საკუთარი ქართლი ამიტენვისათვე
რამეთუ არს წილივე ქართლოსისა, მისგანვე ეწოდა ქართლი და,
შემდგომად სიკუდილისად მისისა, საქართლო ანუ საქართველო,
და იწოდების დღემდეცა ვარეთვე. არამედ, ვინაითგან ეამითი-ეა-
მად შეეძინებ სახელნი მრავალნი განყოფილებისაგან და ადგილებ-
თა განყოფისათვის, და ისახელნებ ესრეთ. რამეთუ შემდგომად
ქართლოსის სიკუდილისა ცოლმან მისმან, განყო რა ძენი თვისნი,
და მისცა უხუცესსა ძესა თვისსა მცხეთოსს ტფილისისა და არაგვის
დასავლეთი, და ფანავრის ტბის დასავლეთის ქუეყანა, წილი ქართ-
ლოსისა, ზღუამდე სპერისა, და ტაოსა და კლარჯეთს შორისის
მთამდე, და დაიპყრა მცხეთოს ქუეყანა ესე; ამან მცხეთოს უწოდა
ტფილისის და არაგვის დასავლეთს, ლინის მთამდე და ტაშისკა-
რამდე, შიდა ქართლი და ტაშისკარსა და ფანავრის დასავლეთს
ზღუამდე უწოდა ზემო ქართლი, და განყო იგივე ქართლოსის სახე-
ლი ესრეთ. ხოლო შემდგომად მცხეთოს განუყო სამთა ძეთა თვისთა
წილი თვისი და მისცა უფლოსს, ძესა თვისსა, რა იგი აღვსწერეთ,
და ძესა თვისსა ოძრახოს მისცა ტაშისკარს ზეითი და მტკურის და-
სავლეთი, ვიდრე ზღუამდე, სახლვრამდე ქართლოსისა, რომელ
არიან აწ სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერ-
ტი, ოლთისი და ტაო, და ამათ ადგილებთა უმეტეს ეწოდა. ზემო
ქართლი.

ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე
თავადამდე მტკურისა, მისცა მცხეთოს ძესა თვისსა ჯავახოს, და
ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი. და არიან ამათ ადგილთა
შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკურის აღმოსავლე-
თი; ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი, არამედ ფარნაოზ
დაიპყრა შემდგომად აზონის სიკუდილისა. და არს საზღვარი ამისი:
აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარჯეთსა და ტაოს შუა
ზღუამდე; სამხრით მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის
ჭოროხსა; დასავლით მთა აზრუმ-ბასიანს შორის განვლილი ზღუამ-
დე, ჩრდილოთ შავი ზღუა.

ვინაითგან საზღვარი ქართლისა ბერდუჯის მდინარე არს, ვიწ-
ყოთ მუნითგან წერა, რამეთუ მდინარე ესე გამოსდის მთასა აბოცი-
სას... და მიერთვის ქციის მდინარეს... ხოლო არს ახპატი და სანა-
ინი. მეფეთა ქართველთა აღშენებულნი კვლესიანი, გუნბათიანნი,

ԺՈՂՈՎՐԴԻ Հ Ա :




კეთილნაშენი, საეპისკოპოზო... სომხითისა, ერვნისა და უნიკურული გამუოფელი არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი... მთისა ამის სამხრით კერძი სომხით-ერვნისა არს, ხოლო ჩრდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა: არამედ ბერდუჯის მდინარის აღმოსავლეთის კიდე უპყრავთ ბორჩალუთა. დასავლეთის კიდის კერძი უპყრავს მეუესა ქართლისასა, ვიდრე ხუნანამდე... სარკინეთს ითხრების ლითონი რენისა და სპილენძისა, და იპოების მცირე ლავარდიც.

ამას დასავლით დის მდინარე ფოლადაური. გამოსდის ლელვარს და მოერთვის მდინარეს მაშავერას. ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისი. მას ზემორ კვლესია დიდი, უგუნბათო, ბოლნისისა,... აწცა ზის ეპისკოპოზი შწყემსი აწინდელის ქართლის-სომხითისა; პირისპირ ამ კვლესისა არს მონასტერი წუდრუდაშენს, გუნბათიანი შვენიერად ნაშენი, შვენიერს ადგილს... ამას ზეით არს მონასტერი ჰუჯაბისა, გუნბათიანი, კეთილს ადგილს...

ხოლო მოდამხახეს ციხის ქვეით არს ხრამი ქციისავე, ნახიდურამდე, მაღალი და განიერი... ახალ-ქალაქიდამ დის ქცია სამხრით... არს მონასტერი ფიტარეთს, შვენიერ-ნაშენი, გუნბათიანი შვენიერს ადგილს, ზის წინამდღვარი... ციხე ხულუტისა... ციხე ბერიქალისა... პირდებული, კლდე გამოკუეთილი... ზის არქიმანდრიტი.

ხუნანის ჩრდილოთ კერძოთ ერთვის მტკვარს, დასავლეთიდამ, მდინარე ალგეთი, გამოსდის კლდე-კარს, და მოდის აღმოსავლეთად... ამას ქვეით არს მანგლისი, კლესია გუნბათიანი. აღაშენა დიდმან კონსტანტინებ, მირიან შეფის ქამს და დაასვენა აქა ფეხის ფიცარი უფლისა, აროდეს შემტერვილ არს... ტბისის უკან, ჩრდილოთ კერძ, არს ციხე ბირთვისი, კლდესა ზედა შენი და გარემო კლდითა მოზღუდვილი... სამხრით არს სახახლე მეფისა კოფორი... მარნეულს არს ნაციხვარი, მის გამო იწოდა ძველადვე ლომთა გორა... ხოლო აღგეთის მხახლობლის ბარათიანთაგან ეწოდების ამ ადგილთა საბარათიანო აწინდელსა ქამსა, თვინიერ დბანის-ხვისა, თრიალეთისა, ტაშირისა და სომხითისა ქამთა ამთა.

კვადად იაღლუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი... გარეჯის მთას არს მონასტერი ნი კლდესა შინა გამოკუეთილი, სენაგნი, ტრაპეზნი, პალატნი... ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩინიტურს ზის წინამდღვარი, დავით-გარეჯის არქიმანდრიტი, ბერთუბანს წინამდღვარი... ხოლო მსახლობელნი არიან სომხით-საბარათიანოს მთავარნი და აზ-



ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი.

პყოფს მტკვარი კალას, ტფილის და ისნს. ხოლო კალასა და ტფი-
ლისს პყოფს სალალაქის – წყალი... ტფილისს დის ცხელი წყალი
კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი, დიდ-შენი, ავაზიანნი. მარა-
დის მომდინარე ცხელი წყალი... არს კალას ეკლესია გუნბათიანი,
დიდი, დიდად შევნიერი, სიონი წოდებული, ღეთისმშობლისა...
ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტკირისა... მას ზეით არს ტბა
ლისისა და მის დასავლით მთა სხალდიდისა, კეთილი აგარაკი...
მის სამხრით ხეობა დიღმისა... ქვათახვეს არს მონასტერი ყოვლად-
წმიდისა... ზის არქიმანდრიტი... ამას ზეით, დიღვორის კალთას,
არს ციხე კავთისა... გუდარეხის ხვეზედა არს, თვალივს, სახახლე
მეფეთა, ნაშენობა დიდი.

მტკვრის სამხრით დასავლეთიდამ ერთვის ატენის წყალს წედი-
სის ხვი... ატენის წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ვერის ხვი...
ამას ზეით ატენი, მცირე ქალაქი... ატენის სამხრით არს მონასტერი
სიონი...

დასავლით გორიჯვრისა არს ხვი სკრისა... ხვედურეთის ხეო-
ბა... მონასტერი ყინცვისს, წმიდის ნიკოლაოზისა...

ხოლო მცხეთა არს ორს მდინარეს შორის... აღაშენა მცხეთოს,
ძემან ქართლოსისხან... შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა
უწოდებენ დედაქალაქესა... ხოლო მირიან აღაშენა კლესია მოცი-
ქულთა, ხისა, სამოთხესა შინა თვისსა, სადაც არს კვართი უფლი-
სა... ეწოდა სეტი ცხოველი კლესისა ამას...

ხოლო მცხეთას განპკვეთს არაგვი, გარნა მოებმის ზედაბნის
მთა და მივალს ქისიყამდე. ხოლო მდინარე არაგვი განპყოფს ქართლ-
სა და კახეთს... მისაცირელიდამ და ოხერ-ხიდის ჩრდილოთ არს ბო-
დორნის ქვაბნი გამოკვეთილნი და ციხე მაგარი... არაგვის ქედ-
ზედ არს ანანური.

ხოლო გუდამაყრის ხვის შესართავს ზეით, დასავლეთ ჩრდილოს
შეა, არს მთიულეთი... კაცნი ჰაეროვანნი, შხენი და მბრძოლნი,
ერთგულნი, საჭურველთ-მოყვარენი, სამოსელთა და იარაღთა განმ-
წყონი...

ხოლო მთიულეთის ჩრდილოთ არს ხვი... ჩახავალს ზეით არს
თრუსო... რამეთუ დასავლით აქუს მყინვარი, უმაღლეს ყოველთა
კავკასთა და მარადის ყინულით შეკვერცხილი... ჩრდილოთ არს
სტეფანწმიდა, დაბა კარვი. ამის დასავლით არს გერგეთი, არაგვს

იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა ზედა, მოხატული ტერიტორია სამებისა, გუნდათიანი, მცხეთის სამკაულის სახით ადგილის დაცა ესვენა ნინოს ჯუარი... მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი, ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ ბეთლემსა... კაცნი არიან მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, პატრიოტები, ვითარცა მთიულნი... სარწმუნოებით ქართველთა თანა...

აშურიანს ზეით არს უფლის-ციხე, კვერნაქის გადმოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკვრის კიდესა... შენობა უცხო, კლდისგან გამოკვეთილი. პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი, კლდისაგან-ვე...

ამის დასავლით არს ქალაქი გორი. ადგილი პავითა შშვენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი...

გორს ზეით ლიახვს ერთვის გორისავე ჭალისა და ნაჭარმაგე-ვისა წყალნი. ნაჭარმაგვი იყო სადგური მეფეთა და კეთილ სანა-დირო, და ამ კარალეთად წოდვილი, ადგილი ტურფა... ნიქონის ჩრდილოთ, დიდის-ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქცხილ-ვანი, კეთილ-პალვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი... კვალად ქცხილვანს ზეით არს, ლიახვის დასავლით, თა-მარაშენი, მცირე ქალაქი. მსახლობელნი სომეხნი, ურიანი და ქართველნი. თამარაშენს ზეით ერთვის თირის მონასტრის ხევი. ამ ხევზედ, გორის ძირს, არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა...

ხოლო კვალად გორის დასავლით არს მთა რუისისა, ტინის ხიდით... ამ მთის დასავლით, მტკვრის კიდესა ზედა, არს ურბნისი... და ამ რუისის მთის სამხრეთის მინდორი, ნიქონამდე და ლიახ-ვით დვანისწყლამდე, ირწყვის ორის ლიახვის რუთი თამარ მეფის ქმნულითა და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი...

ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამის წყალს ქემერტის წყალი... ამ ხევის შესართავის დასავლით, შინდარას დასავლით, არს სურამი, მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან ქართველნი, სო-მეხნი, ურიანი...

ხოლო ტაშის-ქარსა და ლიხის მთას ქვეითი არაგვ-ტფილისამდე, სამნი ესე სასპასპეტონი: მემარცხენე მუხრანისა, მემარჯვენე ქართლისა მეფის თანა მყოფი, ტფილისს ზეით მტკვრის სამხრეთისა და თრიალეთი ფანავრამდე არს წილი უფლოსისა, მცხეთოსის ძირა... შემდგომად განყოფისა ესრეთ სამ სადროშოდ იქმნა... კვალად არა არიან დაბანი ანუ აგარაქნი, რომელთა შინა არა იდგეს კლესია თლილის ქვისა...




და არს სრულიად აწინდევლის კახეთის სახლვარი: სამხრით დიდის აღაზნისა და პატარას აღაზნის შესართვი და მუნიდამ ხაზი კავკასიამდენ გავლილი. და კუალად ხაზი მტკურამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი, ლეკეთისა და კახეთს შორისი; დასავლით სახლვარი ქართლისა, რომელი აღვენერეთ, და მწარე წყალს ქუით, მტკუარი, და ჩრდილოთ მთა კავკასივე.

და მდებარებს ქუეყანა ესე სიგრძით ჩრდილო-დასავლეთს შუალადმ აღმოსავლეთ-სამხრეთს შუა, და არს ქართლისა, რანისა, მოვაკანისა და ლეკეთის შუა მდებარე. ხოლო ქუეყნისა ამის საშუალს არს მთა, რომელი გამოხდების ფშავ-დღიღევისა-შორისის კავკასი-დამ და გამოვლის მახვილისხევს და ფშავს შორის, კუალად ერწო-თიანეთსა და ორტო-საყდრიონს შორის, და ჟალეთის ბოლომდე მდებარებს ჩრდილოდამ სამხრით, მერმე წარმოვალს და მივალს მადარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამხრეთი შუა მდებარებს და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამხრით ქისიყი, დასავლით გარეთ-კახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გომბორი, შუამთა და ცივი. არამედ მთა კუხეთისა ანუ აწ ზედამნისა უმეტეს საჩინოდ შემოერთდების მთასა ამას და მთა ზედამნისა მობმული არს მთისა სარკინეთისა, რომელსა კუერნაქადცა უწოდებენ თვინიერ განკუეთისა არაგვისა-გან, ამისთვის უწოდებენ გომბორის მთასაცა ქისიყამდე კუერნაქად.

არამედ მთასა ამას და კავკასს შორისი ქუეყანა არს ტყიანი შაქამდე და მცირე-ველოვანი, და ამისი დასავლით კერძი, საგარეჯოს ქუეით უტყეო, მცირეთაგან კიდე. ჩალიან-ბალახიანი, ლერწმოვანი, უმდინარო. თვინიერ იორის მდინარისა, და მცირე-წყარიანი. ხოლო ჰავითა არიან შშუენნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ვედენ, მცირეთოვლიანი, უყინ-ულო, უყინო, ვინაიოვან ვეროდეს გაპყინავს მდინარეთა და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ აღაზნისა და იორის კიდენი და მისნი ქუემოთნი ფრიად ხაშმიანი, ცხელი და გაუძლისნი.

ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ხადირთა, ფრინვლითა და თვეზითა, არამედ უფროს ჰერეთი, და უმეტესად აღაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თვინიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმონისა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვსწერენით,




აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით, და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანცა
აქ უმჯობესი არს. გარნა არ სთესვენ ღომს, და არს კირჩხიბი აქა სარეკორდო
ხოლო ხილნი ვიეთი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისაბაცა, და ასე ასე მართვე
თაფლი იმერეთისა უმჯობეს და უმრავლეს აქაურთა. ხოლო კაცნი
და ქალნი შეენიერნი, პაეროვანნი და მგზავსნი ყოვლითავე ქართ-
ველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცვეით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მე-
ხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, უფრო
გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოე-
ბითა ქართლისათა, და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი.

ხოლო არს ქეუყანასა ამას შინა უდიდესნი მდინარენი ალაზანი
და მეორე მცირე ალაზანი ანუ იორი, რომელთა მოიგეს სახელნი
ალონის გამო, არამედ იორი გორებისათვის, ვინაიდგან აქუთ სა-
ხელი ერთი — „იორა ამ მდინარემ“. ხოლო გამოსდის ალაზანი
თუშ-ფშავსა და ძურძუს შორის კავკასია, და დის ჩრდილო-დასავ-
ლეთიდამ აღმოვსავლეთ-სამხრეთ შუა. და მიერთვის მტკუარს გან-
ჯის ბოლოს...

ხოლო იორი გამოსდის ფშავისა და თიანეთს შორის მთას და
დის ჩრდილოდამ სამხრით უჯარმამდე, მერმე ჩრდილოთ-დასავლე-
თიდამ აღმოსავლ-სამხრით შუა, გარნა უფროს აღმოსავლით. არა-
მედ იორს და მტკუარს შუა ასტყდების მცირე მთა ხორანთიდამვე,
რომელსა უწოდების გრძელტბა და გარეჯა. ეს მთა აწ პყოფს ქართლ-
სა და გახეთს...

ხოლო დამპალას აღმოსავლით — ჩრდილოთ არს, პერეთის მთის
ძირს, მანავი... არამედ ღვინო მანავისა კეთილი... ხოლო მანავის
დასავლით არს ხვევი გიორგი წმიდისა... ამან მოიგო სახელი, ოდეს
შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგარეჯო...
უჯარმას ზეით, ჩრდილოთ, და იორის აღმოსავლით არს ბოჭორმა
ციხე... თეთრის-არაგვის მჭვრეტად არს ხარჭაშოს ეკლესია გუნბა-
თიანი, კეთილშენი, ზის ეპისკოპოზი მწყემსი ერწო-თიანეთისა,
ფშავ-ხვევსურისა და თუშეთისა... ხოლო ხვესურეთის აღმოსავლის
მთას იქით არს ფშავი, რომელსა შუაში უდის თეთრი არაგვი...
ხვესა ზედა არს ბოდებს ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, შვენიერი;
აქ მიიცვალა წმიდა ნინო და დაეფლა აქავე: აღაშენა და შეამკო
საფლავი მისი და ეკლესია მეფემან ბაქარ: ზის ეპისკოპოზი მწყემსი
ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე; აქუს სასპასპეტო და დორშაცა...
არიან კაცნი მბრძოლნი, მხენენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარ-
ნი, მიმულნი ურთიერთთა... აღმოსავლით ველი შირაქი ალაზანამ-
დე...



մտա շոնծորու ովոքա շմաջլեթօնէսատզօն, ճա ձման վայութ թու
ցուզօն յարժանցեն եցամդա առ... ՀԱՅՈՅԱՀԱՅԱ
ՑԱՇԱՅՐԱՄԵՐԱՅ

ճլաթնօն ճասացլուտ, առ ալացերճո, յաետոն մտոն յալտոնն
շըլսա նյաջա, დուջմեն, նըլյաջ-պալարիցնօնո, շյնիատոնանո... პան-
ցուսոն եցոնոն սամերուտ, զուջր յուսոցոն սամեջրամճա շիրճեցին
մոցնուտ - յաետե... ճա առ ալցոլո յեյ Ծյունոն, մცորչա շըլունոն,
յան Ծյոյ շմերյե եօլունոն, մცորչ իյլուն-մջոնարինոն, զենաեռցա-
նո, եօլունոն, լցոնո կըտոլո ճա յարչո... პորշըլյան, լեռացլուն, բամյուց
մցորչա, սեցան մրացլագ, առամյա լորու յմրացլուն, համյուց շլյան
ճյազե 200, 400, 1000 ճա 2000...

եռլու տշմետո առ ալոպունոն, տորճոն ճա ճանցուն ճալմո-
սացլուտ, յացքանոն մտոն հրճուլուտ կըրմուտ Շոնա, առ որ եցաճ...
յաետոն տշմեն ոնաեցեն լուրարուտ սոմրացլուն, զոնատցան պյուտ
նայեցլս տցունուտ մտատա Շոնա սամուարո ճա նամտարս համոցլուն
յալմա-մեարսա Շոնա...



ხოლო სიგრძე ქვეყანისა ამის არს ლიხის მთის თხემიდამ შავს ზღვამდე, და მერმე კიდვე გრისის მდინარიდამ ვიდრე ზღვამდე: ხოლო განი ჭირობის მდინარიდამ ალანის კავკასიმდენ და ლიხის მთის კერძოთ ფერსათის მთის თხემიდამ რაჭა-ხვახეთის კავკასის მთის თხემიდე: და შედერის ქვეყანასა ამას, სამხრით, ღაფოს მთა ანუ ფერსათი. ჩრდილოთ, კავკასის მთა, და მდებარეობს ორთა ამათ მთათა შორის. დასაჯლით, უმდებარებს შავი ზღვა. აღმოსავლით, მთა მცირე ლიხისა. ხოლო მთა ლიხისა მდებარებს ჩრდილოდამ სამხრით კავკასიდამ ღაფომდე: და არს ტყიან-ნადირიან-ფრინველიანი. და გახდიან მდინარები ამიერ, კვირილი და ჩხერიმელი. იმიერ ფაწა, ოთხი ფრონები და შოლა: და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი. რამეთუ იშვიათ არს ველი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირები, თვინიერ სახველთაგან: არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიანი, ვენახიანი, პავითა კეთილმშვენი: განა ტყის გამო, ზაფხულის, იმყოფის სიცხე, ვინათვან ძნიად იძვრის ქარი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამე: ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ თდეს განპყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა რომელსა ზედა შედგეს ან უტყვი ან მეტყველი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე თდესმე მხარი და უმეტესიცა...

ხოლო კაცი და ქალი ვითარცა ვსთქუთ ეგრეთცა იუწევ, განა უშვერიერესადცა და უქეროვნებადცა, ვინათვან გლეხთა შეიღინი მიგვანან წარჩინებულთა შეიღილთა. სუფთანი, სამოსელთ გამწყონი, ეგრეთვე ცხენთა, და იარაღთა და საჭურველთაც ცქვიტნი, კისკანი, ენატებილნი, მსუბუქნი, ფიცხელნი, ბრძოლისა შემმართებელნი და ძლიერნი... მომდერალ-მგალობელნი და შეიგნობარნი წარჩინებულნი და უმეტესი კეთილხმოვანნი და სხვათა და სხვათა შემძინებელნი. სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართველთა თანა ამღარებელნი, არამედ უცქვიტესად მოუბარნი...

არამედ ამ ფამად, ვინათვან უწოდებენ ცხენის-წყალს ზეით იმერეთს, აღმოსავლეთის კერძება ვიდრე ლიხის მთამდე, პირველად დავსწერთ ამას: და განიყოფის ესე იმერეთი ვაკედ, ფერსათის კერძოდ, არგვეთად, ოკრიბად, რაჭად და ლეჩხუმად: არამედ აქა ვინათვან უდიდესი ყოველთა მდინარეთა არს რსონი და ამას მიერთვიან ყოველი მდინარენი იმერეთისანი, პირველად ვიწყებთ ამას...

ესე რიონი გამოხდის სვანთა, დიგორისა, ბასიანისა და რაჭის საშორისს კავკასსა. და დის ესე რიონი კავკასიდამ გლოლის წერტილის სამძე აღმოსავლეთს საშხრეთს შუა, გლოლის წყლიდამ უწერისძე. დასავლეთს სამხრეთს შუა. უწერიდან ხომლის კლდემდე, აღმოსავლეთიდამ დასავლეთიდ, მცირედ ჩრდილოს კერძ მიწეულად. ხომლის კლდიდამ კვირილის შესართავამდე. ჩრდილოეთიდამ სამხრეთად. კვირილის შესართავიდამ, აღმოსავლეთიდამ დასავლეთიდ მიწეულად ჩრდილოს კერძოდ, და მიერთვის ფოთს ზღვასა. და გამოვლის რაჭას, დექნეუმს, ოკიიბას, ვაკესა და სალომინაო-საჩინოს შეა, და განპყოფს ოდიშსა და გურიას...

ხოლო გორდიდამ ვიდორე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკვერად... არს ცაგერს კლდესია დიდშენი, გუნბათიანი. ზის ეპისკოპოზი შეუკვეთების ლეჩხუმისა და სვანეთისა...

ცხენის-წყლის შესართავს ქვეით რიონს მოერთვის სამხრიდამ საჯავახოს წყალი... ვარციხეს ზეით ერთვის რიონს ხანის-წყალი... კვალად ხანის-წყლის შესართავს ზეით რიონს მოერთვის კვირილა, აღმოსავლეთიდამ...

წყალწითელას აღმოსავლით, გორის ქალთას, არს კლდესია ყოვლადწმიდისა ღუთის-შშობლისა, დიდ-შვენიერი, დიდ-ნაგები და ქმნეული შიგნით სოფიის კენჭითა, გუნბათიანი, კეთილს-შევნიერს ადგილისა. აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუაველს გენათი და აწ, უწოდებენ გელათის: აქა არს ყოვლადწმიდის ხატი ხახულის ღუთის-შშობელი, ღუკა მახარებელის დახატული, ყოვლად წმიდის რძითვე და შემკული ძვირფასითა ქვებითა, აღმაშენებელისა და თამარ მეფისათი. აქვე არს ვარძიის ჯუარი, შემკული დიდ ფრიად...

არს ძირულაზედ, ხარაგეულს ციხე, შენი: ამ ციხესთან ეყრების ძირულას ჩხერიმელა... ჩხერიმელას ზედვე არს, სამხრით, ჩხერის ციხე, მაგარი და მტრისაგან აუღებელი...

ზეით არს ქალაქი ქუთათისი, რიონის გაღმა-გამოღმა, პავითა და წყლითა შვენი... აქ არს სასახლე მეფეთვან, დიდშენი... აქ აღაშენა მეფემან ბაგრატ ყოვლად წმიდისა კლდესია შვენიერი, გუნბათიანი... დასხვა ეპისკოპოზი შეუკვეთების იმერეთისა და გურიისა, თვინიერ რაჭა-ლეჩხუმისა... რიონის დასავლით, მთის ძირს, არს ხომლის კლდე, ურიად მაღალი... ამ კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუკალი, მეფეთა საგანმურთ სადები...

ხოტევს ზეით... არს ნიკოლა წმიდა, კლდესია გუნბათიანი, კეთილ-დიდშენი... ზეით არს შაორი: აქა ყოფილა საზაფხულო სისა-





ხლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის შვენიერებისათვის, კმითელობის
აგარაკოვანი... ხეორი... შქმერი... კუდარო... წონა... გარდავალს აქი-
დამ და კუდაროდამ გზა ქრცხილოვანის ხეობასა ზედა, დვანის
ხეობასა ზედა, ქართლში...

ხოლო ჯევორის შესართავს ზეით და რიონის სამხრით არს
თნი... მსხვერის რაჭას ძღმოსავლით, კუდაროსა, წონისა და ფართის
მდინარის შორისი მთა, და კავკასი კედელა, და მუნიდამ ჩრდილოთ
წარსრული კავკასივე ვიდრე დივორის კავკასამდე...

კაცნი ტანოვანნი, მხნენი, ბრძოლასა შემმართებულნი, ძლიერ-
ნი... ქალნი შვენიერნი, მქცვნი გრეთნივე, რბილნი...

რაჭის სამხრით არს, მთას იქით, არგვეთი ანუ მაგრვეთი, რო-
მელი იწოდა ქვეყნის ხაყოფიერებისგან... ხოლო არგვეთის სამხრით
არს საჩხეიძო, პირველად არგვეთადვე წოდებული... ხოლო საჩხეი-
ძოს დასავლით არს საჩინო, და მის დასავლით საჯავახო... ხოლო
სალომინათხ, რიონს გაღმით, არს ვაკე, და ისახელების ადგილთა
სივაკისათვის... ხოლო ამ ვაკის აღმოსავალ-ჩრდილოთ არს ოკრი-
ბა... ვენახი მაღლარი, დვინო მხუბუქი, მხე-გემოიანი.

ეს ოკრიბა, რიონის აღმოსავლეთით, პირველად იყო არგვეთისა,
და დასავლეთისა ნაქალაქვეის საერისთოსი: შემდგომად იქმნა ქუ-
თაისის საერისთოსი, და ამ მეოთხე სადროშო, ლეჩუმითურო, მე-
ფისა თანა შეოფნი.



ხოლო გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა... არამედ შედევრის ამას გურიას: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამხრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული დახავლით, ძუარა-გურიას შორისი; ჩრდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი და დახავლით შავი ზღუა. ხოლო რიონის თუალზედ, სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე — ნავსადგურობისათვის... აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე და ამ ფოთის აღმოსავლით, რიონის კიდესა ზედა არს ლანჩქუთი. ამ ლანჩქუთის სამხრით წარმოვალს მთა საჯავახოს მთიდამ დასავლეთად, და სადაცა დასწყდების მთა, ესე, არს ამ მთის მაღალს თხემსა ზედა კვლესია ჯუმათხ, დიდი გუმბათიანი, დიდშენი, შეურეტი ზღუასა და გურია-ოდიშისა...

კუალად ფოთის სამხრით, ზღვის კიდეზე, ტბა პალიასტომისა დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქიდამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბისა შინა განსუენებისათვის... კუალად ამ ტბისა და ჯუმათის სამხრით დის მდინარე სუფსეი, გამომდინარე სამცხე-გურიის შუას მთისა, მომდინარე ბახვის-წყლიმდე ჩრდილოს-დასავლეთს შუა, ბახვის წყლიდამ ზღუამდე აღმოსავლიდამ დასავლეთით და მიერთვის ზღუას აღმოსავლიდამ... სუფსის სამხრით და ბაილეთის ჩრდილოთ არს გურიანთას ციხე, კლდე-გორასა ზედა შენი. ამის სამხრით დის აკეთ-ბაილეთის წყალი. გამოსდის სურების მთას. მიერთვის ზღუას აღმოსავლიდამ.

ამ მთის ძირში არს ციხე ასკანისა. ამისვე სამხრით, მთის ძირში, არს შემოქმედი, კვლესია დიდშენი, გუმბათიანი, შექული ყოვლითა. იყო ეს საბაქიმახდრიტო... აქა დის მცირე მდინარე, გამოსდის სურებისა და ხინოს ზუას მთას, და დის გრეხით, მიერთვის ხინოს წყალს ჩრდილოდამ. ამ წყალზედ, შემოქმედს ქუეთ, არს ოზურგეთი, სასახლე დიდშენი, კეთილბადაბოვანი, გურიელისა...

ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღუამდე და განი ჭოროხიდან რიონამდე. პავით არს კეთილი და მშუენი, ზაფხული ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო. ზამთარი თბილი, დიდოვლიანი, ვითარცა იმერეთი, და უყიენო; მთა-გორიანი, აგარაკიანი, ტყიანი და მცირე-ველოვანი. ნაყოფიერებენ უოველნი მარცვალნი. კუალად აბრეშუმი... ცხოვარნი მცირედ, სხუა პარუტყუნი, თვი-



ნიერ აქლემისა, ჯოგად, მროწლედ, მრავალნი, და მძოვარნი მაკავშირთვა
თარ-ზაფხულს უწყებსოთ. ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალ-
ნი. და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი ღიმო, ზეთის-
ხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა. ვენახნი მაღლარნი,
ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად...

ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა,
სარწმუნოებითა, რჯულითა... შემოსილნი ეგრეთვე და შეუნიერები-
თაცა, არამედ უმეტეს პაველანი და რბილნი, ენა-ტკბილმოუბარენი,
უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენი-
სანი და არა სხვისა. ბრძოლასა შინა შემმართებელნი... უქუ-
დალნი, უავაზებელნი, ვითარცა ოდიშარნი, სტუმრის მოყვარენი და
კეთილად შემწყნარენი, კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშვიდნი,
არამედ მყის გულმწყრალნი.



զայտոնես:




ხოლო ესე ოდიში ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრული რელი, რამეთუ ვეროს აღმენა ქალაქი და უწოდა ვერი. მას სწერებ ვეროპელი კოლხიდად, სადიდამ იახონ წარიღო თქროს რუნი ანუ საწმისი... რამეთუ მას ვერის-წყალს იქითი, დასავლეთისა, ეპურათ ბერძენთა, აქა არს ადგილი იგი. მაისთვის უწოდეს მევერელი. ხოლო ოდიში — განდგნებ რა ვერისის მდინარის იქითნი და მიერთნებ ბერძენთა, იტყოდიან: „ოდეში იყომე ქუეყნა იგი ჩუენი”, და ისახელნებ აწამდე ესრეთ. ხოლო სახლვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკუერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიიდამ ჩამოსული სამხრით და კუალად თაკუერიდამგვე წარსრული კავკასი ჩრდილოთ, ვიდრე ვერისის სათავემდე, ოდიშსა და სუანეთს შორისი; სამხრით მდინარე რიონი, გურია — ოდიშს შორისი, და კუალად ვერის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღუა; დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფის მცირე მთა, კავკასიიდამ ჩამოსული სამხრით ზღუამდე; ჩრდილოთ კავკასის მთა. ხოლო ცხენისწყლის დასავლეთის კერძო რომელი დავსწერეთ, ოდიშისა არს...

ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლით და მისი მჭურეტი, მაღალს ადგილზედ, არს ჭყონდიდი, ვლესია გუბბათიანი, დიდშენი, მარტვილისა... დაფლულ არს მეუე ბაგრატ. ამნვე დასვა მუნ ეპისკოპოზი... მათთა დასავლით დის მდინარე აბაშა... ამის დასავლით დის მდინარე ტეხური. იწოდა ჩქარად დინხბისაგან... ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შეეთს ციხე დიღნაშენი და სასახლე დადიანისა. ამას ზეით კიდვე ტეხურისავ კიდეზედ, არს სენაქს ველესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფალი აფხაზთა კათალიკოზისა. აქ სენაქს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქვი, ციხე გოჯად წოდებული...

ხოლო ისულეთს, ტეხურს შესადინარს ქუეით, სადაცა ერთვის რიონი ზღუას, აქა არს ფოთი. და მმ ფოთის ჩრდილოთ კერძ შესდის ზღუას ხორგის წყალი... ამ წყლის ჩრდილოთ, მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა. ამის ჩრდილოთ დის ჭანის წყალი, წოდებული ჭელენჯისის გამო... ამ მდინარის ჩრდილოთ კერძოთ, ზღვის კიდეზედ არს ხოფი. აქა არს ველესია გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული. აქ ველესიას შინა მსუნა-

ՌԵՎՈՐԱՆ:



რებს პერანგი ყოვლისა წმიდის ღვთისშმობლისა, სასწაულთმოქმედი... მედი... ამავ მდინარის ჩრდილოთ კერძოთ დიდს ველსა ზედა არსებობს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, ღიდშენი და პალატებიანი, უნდა მოგვიახლო და მდინარისა და სამართლისა და მთავრის გავასხებისა, მთავრის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღუას ანაკრიბს...

ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ არს ჭელენჯიხი... ამის ჩრდილოთ დის მდინარე ვეური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასევ სუანეთსა და ოდიშს შორის კავკასია, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღუას ანაკრიბს...

ვერისის მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე ჩრდილოდამ სამხრით. გამოსდის კავკასია და მიერთვის იღორს ზღუას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქუს კლესია გუმბათიანი, ღიდნაგები... ხოლო მოქუს მდინარის დასავლით დის კოდორის მდინარე... ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა, გამომდინარე კავკასიისა... იყო ცხომი ქალბქ და საერისთო, და აწ დაბა. ამ ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე... და სახლვარი თდიშისა და აფხაზეთისა.

ხოლო სიგრძე თდიშისა არს კავკასიის თხემდამ ზღუამდე და ცხენის წყლიდამ ზღუადმდევე, და მეორე — ვერისის წყლიდამ ანაკოფიამდე. და განი მისი რიონის მდინარიდამ ვერისის მდინარემდე, და მეორე — ზღვიდამ კავკასიის თხემდმდე. და არს პავითა. ესე თდიში მშეუნი. ზაფხულის ზღვის პირი და ვაკენი ცხელი და არა გაუძლისი; მთის კერძონი გრილნი, აგარაკოვანნი, კეთილნი. ზამთარ თბილი, არამედ ზაფხულიცა სუელი და ნამიანი, და ნოტიო... მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად. ნარინჯი, თურინჯი, ზეთის-ხილი, ბროწეული... ვენახნი მაღლარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი...

არიან კაცნი და ქალნი შეენიერნი... სარწმუნოებითა, რჯულითა და წესითა, და ქცვითა იმერთათა... და აქუსთ წიგნი ქართულივე და არა სხვა... კუალად ქუეყანა ესე არს ფრიად ტყიანი, მთით ბარამდე, და მცირე ველოვანი. მდინარეთა კიდენი ჭალოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალაბ-ჭინჭრობიანი და ფრიად წვიმიანი. ამისგან არს ფრიადი ნოტიობა, გარნა უნებელი.

ხოლო ანაკოფიის დასავლით არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაითვან წილი ეგროსისა არს ზღუმდე, მის გამო ეწოდა ეგრივე. არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძნენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ მის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე. ხოლო სახლვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიოდამ ჩამოსული ზღუმდე; დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი შხვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუმდე; ჩრდილოთ შხვრის მთა კავკასი, სამხრით ზღუა შავი. სიგრძე ამისა არს ანაკოფიიდამ კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღუადამ კავკასის თხემამდე.

ხოლო ანაკოფიის დასავლით დის აღაცოს წყალი. გამოსდის კავკასია და მიერთვის ზღუას ჩრდილოდამ. ამ აღაცოს წყლის დასავლით დის ზუფუს მდინარე, გამოსდის კავკასი, დის სამხრით, მიერთვის ჩრდილოდამ ზღუას. არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობლობს აფხაზთა... ამ ზუფუს დასავლით დის მუწის-წყალი. გამოსდის კავკასიავე, მოერთვის ჩრდილოდამ ზღუას. ამ მუწის-წყლის დასავლით არს ბიჭვინტიას კელესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვის კიდესა ზედა... ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას, კავკასია, გამოვლის სუანეთს, აღასა და მას ქუეთთა ორს კავკას-შორისთა და მოერთვის აქა ჩრდილოდამ ზღუასა.

ხოლო ესე აფხაზეთი შემცული არს ყოვლითა ნაყოფიერებითა და პავითა, რამეთუ ნაყოფიერებებს ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვენახნი, პირუტკვნი და ნადირნი, ფრინველნი და თვეზნი მრავალნი. არამედ თხა აქაური ფრიად შუენიერნი, ბალნითა წმინდა და ჭრელ, კანჭმაღალი, ტანად დიდი, რქანი მაღალნი, ვითარ ადლნაბევარნი. წვერნი გრძელნი, ვიდრე მუხლოთ დაბლამდე. გარნა არს ესე აფხაზეთი ტყიანი, ჭალიანი, ეწოვანი და მცირე ველოვანი, მთის კერძონი, აგარაკოჯანნი. ხოლო კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს ცქვიტნი და ტანოვანნი, წერწეტნი... ზღუათა შინა მავალნი ოლეჭკანდარებითა, რომელთა შინა შთასხდებიან 100, 200,



და 300... სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი... განა უწყიან ნამუშავებულ
ობა, ცოლი ერთი, მარხვა, აქუსთ სასოება მღვდელთა ფრიად: პრა
იქმნებიან მათ შორის სიძვა, მრუშება. რამეთუ დახწვენ შემცოდე-
თა: უყვართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად:
ენა საკუთარი თვისი აქუსთ არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართუ-
ლი: სხდებიან სკამთა ზედა, და პსჭამენ ტაბლასა ზედა, და არიან
ერთგულნი ფრიად თვისთა მეპატრონეთა და მორჩილნი მისნი.



ՏԵՐԵՎՈՒՄ:





ხოლო სვანეთი იმზღვრების კოვლითგან კავკასიის მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხეთის ჩრდილოთ და ოდიშის აღმოსავლეთით. და მზღვრის სვანეთის: აღმოსავლით სვანეთსა და ბასიანს შორისი კავკასია; ჩრდილოთ დიდ-ყაბართ-ჩერქესა და ამას სვანეთს შორისი კავკასიი; სამხრით სვანეთისა და რაჭა-ლეჩხეთის. შორისი კავკასიი; დასავლეთით სვანეთისა და ოდიშის შორისი კავკასიი და აღანის საზღვარი. სიგრძით არს რაჭის კავკასიის თხემიდამ ოდიშის კავკასიის თხემამდე და აღანამდე, და განით რაჭა-ლეჩხეთის კავკასიის თხემიდამ ჩერქეზის კავკასიის თხემამდე, და რაჭისაკენ ვიწრო, ხოლო ლეჩხეთისაკენ განიერი, და მას ქვეით, ოდიშის კერძოდ, უმეტეს განიერი. ამას უდის საშუალოსა მდინარე თვისი, რომელი იქნების ბოლოს კაპპეტისა, გამოსდის რაჭის მთის კავკასს და მიდის დასავლეთს-ჩრდილოს შორის. ამ მდინარეს მოერთვიან ამიერ-იმიერიდამ ხევნი მდინარენი.

ხოლო რაჭა-ლეჩხეთის სამხრით არს ლაშეთი, და ლეჩხეთის სამხრით და ოდიშის აღმოსავლით არს ეცერი. აქ არს ველესია სუეტად წოდებული, სახისარი სუეტის ცხოველის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტკიან სუეტის-ცხოველის კანკლის ყოფასა, დღესაცა, რომელი მოიღო გორგასაბალ ინდოეთიდამ, წითლის იაგუნდისა ქმნილი. არამედ საჩიხოდ არიან აწცა ხატი და ჯუარნი თქრო-ვერცხლისაბანი და მოოჭვილნი ქვითა, მრავალნი და პატიოსანი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა აქვთ სასოება და პატივსცემენ...

ხოლო სვანეთი არს მოსავლითა და პირუტკითა, ვითარცა აღვსწერეთ დუალი, ანუ აწინდელი ოსეთი, და უმეტესი შირიცა. სივიწროვით, მთით და კლდით და მდინარეებით ფრიად მაგარი, არამედ სახელი ესე ეწოდა: ოდეს ვერდარა იტვდა ძურძულეთი კაცთა. მევემან საურმაგ აპყარა მუნიდამ და მისცა აქა სავანე და დასხნა სულნი დიდალნი. ამის გამო იწოდა სავანეთი. არამედ არიან კაცნი დიდ-ტანოვანნი, ახოვანნი, დიდ-მძლეულ მუშაკნი, ბართა შინა რაზმთა ვერ შემმართებულნი, მთათა სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი, სიკვდილის არა მომხსენენი... სარწმუნოებით არიან იმერთა თანა ქართულითა ენა თვისი აქუსთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა. პირველდა იყო ვერისის საერისთო, შემდგომად დასვეს მეფეთა მისი ერისთავი, და აწ უვისთ გელოვანი, ვითარცა პატრონი მათი, და არიან თვისად და არღარავის მორჩილებასა შინა.



ՆՅՈՐՈՒՄ:



ხოლო არს ქეუყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვაზ მთიანი, კლდიანი, ხვიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შაბბ-შროშნიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდოვალიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულის შეხავებული, რამეთუ აქუს მთანი და აგარაკნი ფრიად აბლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თვინერ აგარაკთა. პავით შვენი და კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ვრეთი. ნაყოფიერებს ქუეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. და ხილნი არიან... მრავლად და კეთილნი. არიან წალკოტნი, მტილნი და სავარდენი. გარნა ტყეთა, მთათა და ველთა ვიეთთა ადგილებთა შინა მრავალ არიან, ვინაითგან მთა და ველნი შროშნითა ფშვიან. პირუტყუნი ყოველნი მრავალნი და ნადირნი მრავლად, არამედ ქურციკი არ არს. ფრინველნი ურიცხუნი, გარნა დურაჯი, შხერო, ასგატა არა არს აქა. ჩიტნი და სირნი უძმრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტებილნი, შმუელნი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თვეზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წურილნი... ფუტკარი მრავალნი, და თაფლნი კარგნი და მრავალნი.

ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანვანნი, მხნენი, შემმართებულნი, შუენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყუარენი...

ხოლო ქუეყანას, ამას შინა არიან მდინარენი უდიდესნი მტკუარი და ჭოროხი, რამეთუ მტკუარს მოერთვიან ყოველნი მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტანისანი და ჭოროხს სრულიად კლარჯეთის მდინარენი, თვინიერ ჭახეთისანი.

...ქარზამეთს არს მონასტერი გუმბათიანი, მდიდრად შენი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერი. ამას ზეით არს ვარძიას მონასტერი, კლდესა შინა გამოკუეთილი, სენაკ-პალატებითურთ, და მას შინა აღშენებული მეფის გიორგისაგან და შესრულებული თამარ მეფისაგან. ესე შემეული იყო საკულტუროს სიმდიდრითა და ყოვლითა წესიერებითა, დაულულ არიან მეფე გიორგი, მეფე კონსტანტინე და სხუანიცა...

ხოლო ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უცნახო, უხილო, უტყვეო, ვიეთთა ადგილთა სწევნი წივასა, და მოსავლითაც ეგრეთიკე. არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. პავითაც მგზავ-

ՆՇԱԽԵՎԱԾՈՒՅՑՆ:



სი, განა უჭიობესიცა. ზამთარ, დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი, თვეზენი მრავალნი, ქარისტული ველნი, რომელნიცა მთათა გვარობენ, მრავალნი. თავლინი მტკადლიშვილი კაცნი და ქალნი მგზავნი ქართლის გლეხთა, ტანობნი, შენიერ-ჰაეროვანნი... სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტეანები სულიად, არმედ არღარა უვისთ მწევმესი ეპისკოპოზი, განა პავთ მღედელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული...

...ხოლო აწ ვიწყებთ კლარჯეთს. და ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს ჭოროხი... მიერთვის ბათომს ქვეით შავს ზღვას... და არს თვეზიანი, განა, მთის კერძოდ, უმეტეს კალმახნი. სასმისად შემრგო, გემოიანი... ხოლო ჭოროხს მოერთვის აჭარის წყალი აღმოსავლეთიდამ, და გამოსდის ზარზმა-აჭარას შორის მთასა... და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯანბისა, ყოვლითა მარცვლითა. არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, ხრამოვან-ღრატოიანი. მთანი ტყიან-ნადირიანნი, კაცი ხელოვანნი ხის მუშაკობითა. აქ აკეთებენ ველს...

ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზეავე! არს ესე შავის ზღვის კიდის წადვნებით, გონიიდამ ტრაპიზონის სამხლევრამდე! გონიის დასავლით მოერთვის ზღვას მდინარე ჭანეთ-ში გამომდინარე ჭანეთის მთისა... ამ მდინარის იქით არის ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა: აქ მოერთვის მდინარე ხოფჯისა, გამომდინარე მისვე მთისა... ამ მდინარის დასავლით არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ... ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინდა მთამდე, ჭანეთის მთიდამ, და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა.

...ესე არს აღწერა სამცხე-საათაბაგოსი წენილთა ადგილებთა... არამედ არა არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარანი, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი. ორი ანუ სამი, დიდნი და მცირენი. და ეგრეთვე ყოველთა ადგილთა საქართველოსა შინა...



შემდგენლები:

ნარგიზა გამცემლიძე
თამაზ კიკნაძე

მხატვარი ზაზა კიკნაძე
რედაქტორები: თამაზ კიკნაძე
სოხო ქართველიშვილი

Гербы и знамена Грузии по
Вахути Багратиони
(На грузинском языке)
Издательство «Самшобло»
Тбилиси — 1991 год

გადაეცა წარმოებას 19.10.90. წ. ხელმოწერილია დახაბეჭდად 5.02.91 წ. ქადა-
ლდის ზომა 60×90 1/16 პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2,75. სააღრიცხვო-საგამომ-
ცემლო თაბახი 1,63. შეკვეთი 1183; ტირ. 15 000

ფასი 3 ჰან

საქართველოს ქურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, კოსტავას ქ. № 14.

Типография Грузинского журнально-газетного
издательства «Самшобло». Тбилиси. ул. Костава № 14